



საარსებო პროგრამის განყოფილება და სოციალური დაცვის სამინისტრო



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო



unicef

REACHING VULNERABLE CHILDREN IN GEORGIA

Children Living or Working on the Streets

ვიზრუნოთ ყველაზე დაუსველ ბავშვებზე ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები



რა:

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი

- **ვიზრუნოთ ყველაზე დაუსველ ბავშვებზე - ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები.**

სად:

- თბილისი, რუსთავი, ქუთაისი

როდის:

- 2012 წლის აგვისტო - 2015 წლის მაისი



ზინ:

- გაეროს ბავშვთა ფონდი,
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო,
- სოციალური მომსახურების სააგენტო,
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,
- შინაგან საქმეთა სამინისტრო,
- იუსტიციის სამინისტრო,
- თბილისის და ქუთაისის მერიები,
- არასამთავრობო ორგანიზაციები: კარიტას საქართველო, ვორლდ ვიჯენი, ბავშვი და გარემო.

რატომ:

ქუჩაში ცხოვრება უაღრესად მძიმე გავლენას ახდენს ბავშვებზე. ქუჩაში მყოფ ბავშვებს არ მიუწვდებთ ხელი განათლებაზე და ჯანდაცვის სათანადო მომსახურებაზე, ისინი ხშირად არც რეგისტრირებულნი არიან და სხვადასხვა სახის ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან. არასტაბილური ცხოვრების წესის და არაადეკვატური საცხოვრებელი პირობების გამო ეს ბავშვები საზოგადოების ყველაზე დაუცველი ჯგუფია.

მთავარი შედეგი:

შეიქმნა სახელმწიფო მექანიზმი ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების უფლებების დაცვისა და მათი რეინტეგრაციისათვის საზოგადოებაში. სახელმწიფო სტრატეგია ამ ბავშვების დასახმარებლად აქამდე არ არსებობდა. ინიციატივის ფარგლებში მოხდა ბავშვების იდენტიფიცირება და მათი კონკრეტულ პროგრამებში ჩართვა. საბოლოო მიზანია სარეაბილიტაციო პერიოდის გავლის შემდეგ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების განთავსება არსებულ სახელმწიფო სერვისებში, როგორებიცაა მინდობითი აღზრდა და მცირე საოჯახო ტიპის სახლი ან, შესაძლებლობის ფარგლებში, რეინტეგრაცია ბიოლოგიურ ოჯახში.



ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დასახმარებლად შეიქმნა შემდეგი მომსახურებები:

მობილური ჯგუფები

ჯგუფში შედიან სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, თანასწორ-განმანათლებელი და ადმინისტრაციული მუშაკი/მძღოლი. მობილური ჯგუფის მიზანია ბავშვების მოძიება ქუჩებში, მათი ნდობის მოპოვება და მათთან ურთიერთობის დამყარება შესაბამის მომსახურებაში განთავსების მიზნით; ბავშვებისა და, შესაძლებლობისამებრ, მათი ოჯახების შეფასება, ბავშვებთან მუშაობა ქუჩის პირობებში (პირველადი დახმარება ფსიქოლოგიური თუ სამედიცინო კუთხით, ჩართვა გასართობ თუ სპორტულ ღონისძიებებში და არაფორმალური განათლება).

- 2013 წლის გაფხულიდან თბილისში ფუნქციონირებს **3 მობილური ჯგუფი**, ხოლო 2015 წლის გაგაფხულზე ქუთაისში ამოქმედდა **1 მობილური ჯგუფი**.

ტრანზიტული ცენტრი

წარმოადგენს ქუჩის გამოცდილების მქონე ბავშვის 24-საათიან მომსახურებას მაქსიმუმ ერთი წლის განმავლობაში. ცენტრის მთავარი მიზანია კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ბავშვი (ქუჩაში უმეტესადაა მყოფი, საცხოვრებლის გარეშე დარჩენილი, ძალადობის მსხვერპლი და ა.შ) უზრუნველყოს თავშესაფრით, დახმარებით და მოამზადოს იგი უფრო ხანძვრძლივი დროით მინდობით აღზრდაში ან მცირე ზომის საოჯახო ტიპის სახლში განთავსებისათვის. ზოგ შემთხვევებში, როდესაც ბიოლოგიურ ოჯახს შეუძლია ბავშვი უზრუნველყოს უსაფრთხო გარემოთი, ხდება რეინტეგრაციის პროცესის აქტიური ხელშეწყობა.

- დღეისათვის თბილისში ფუნქციონირებს **1 ტრანზიტული ცენტრი**, ხოლო 2014 წლის მაისიდან ასეთივე ცენტრმა რუსთაველის დაიწყო მუშაობა.

დღის/კრიზისული ინტერვენციის ცენტრები

ღია ტიპის მომსახურება, რომლის მიზანია ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ძირითადი საჭიროებების (საკვები, ჰიგიენა და სხვ.) დაკმაყოფილება; მათი ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია; სასიცოცხლო უანრ-ჩვევებისა და არაფორმალური განათლების პროგრამაში მათი ჩართვა. საცხოვრებლის გარეშე დარჩენილ ბავშვებს ცენტრი ასევე სთავაზობს ღამის თავშესაფარს.

- თბილისში მოქმედებს **3 დღის/კრიზისული ინტერვენციის ცენტრი**, ხოლო 2015 წლის გაგაფხულზე ქუთაისში გაიხსნა **1 დღის ცენტრი**.





პროფესიონალთა მოზადება

ბავშვებთან მუშაობის სპეციფიკის შესახებ გადამზადდნენ პროგრამის ფარგლებში დაფუძნებული მომსახურებების და სისტემაში ჩართული უწყებების თანამშრომლები:

- **მოტილური ჯგუფების 15 წევრი;**
- **დღის/კრიზისული და ტრანზიტული ინტერვენციის ცენტრების 150 თანამშრომელი;**
- **230 პოლიციელი თბილისსა და ქუთაისში.**



სახელმწიფო დაფინანსება

მოტილური ჯგუფების, დღისა და კრიზისული ინტერვენციისა და ტრანზიტული ცენტრების მუშაობის ფინანსურ ხარჯებს ფარავს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა (ახორციელებს სოციალური მომსახურების სააგენტო).

სულ რამდენ ბავშვს გაეწია დახმარება

- ბავშვების რაოდენობა თბილისში - **380**
- დღის, კრიზისულ და ტრანზიტულ მომსახურებაში ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა - **144**
- გადაუდებელ მიხედვით აღზრდაში განთავსებული ბავშვების რაოდენობა - **7**
- მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ინტეგრირებული ბავშვების რაოდენობა - **5**
- სკოლაში ინტეგრირებული ბავშვების რაოდენობა - **20**
- დოკუმენტაცია მოუწესრიგდა **38** ბავშვს და მათ ოჯახებს
- კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამაში ჩართული ოჯახების რაოდენობა - **15**
- სხვა პროგრამებში გადამისამართებული ბავშვების რაოდენობა - **13**
- ჯანდაცვისა და სოციალური ფონდის მომსახურებით მოსარგებლე ბავშვებისა და ოჯახების რაოდენობა - **59**



დაარსდა ჯანდაცვისა და სოციალური ფონდი, რომელიც დაფარავს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ჯანმრთელობისა და სოციალური საჭიროებების ხარჯებს, რაც წარმოადგენს ამ ბავშვების კონკრეტული პრობლემების გადაჭრის ეფექტიან საშუალებას მოკლევადიან პერიოდში (2014). ფონდმა შეიძლება ერთჯერადი დახმარება გაუწიოს ქუჩაში მცხოვრები ბავშვების დაბრუნებას ბიოლოგიურ ოჯახებში. 2015 წლის თებერვლისთვის ფონდის მომსახურებით ისარგებლა 59-მა ბავშვმა და მათმა ოჯახმა.

2014 წლის გაზაფხულზე შეიქმნა იურიდიული სამუშაო ჯგუფი. ამ ჯგუფმა განსაზღვრა ის საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც საშუალებას არ აძლევს ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის არქონის გამო ისარგებლონ სხვადასხვა მომსახურებით. სამუშაო ჯგუფმა (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს/სოციალური მომსახურების სააგენტოს და იუსტიციის სამინისტროს/სახელმწიფო სერვისების განვითარების

სააგენტოს აქტიური მონაწილეობით) შეიმუშავა რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს დროებითი პირადობის მოწოდების გაცემას აღნიშნული ბავშვებისთვის, რომ მათ შეძლონ ჯანმრთელობის, განათლებისა და სოციალური დაცვის სხვა მომსახურებებით სარგებლობა. რეკომენდაციები 2015 წლის ბოლომდე წარედგინება პარლამენტს.

ინიციატივის ფარგლებში მჭიდრო თანამშრომლობაა განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან „განათლების მეორე შანსის“ უზრუნველსაყოფად იმ ბავშვებისთვის, ვისაც არასოდეს უვლია სკოლაში ან მიატოვა სწავლა. 2015 წლის გაზაფხულიდან ამოქმედდა დღის ცენტრებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამა, რაც საშუალებას მისცემს ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს ჩაერთონ სასწავლო პროცესში.

გაიმართა მცირემასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის შექმნილი მომსახურებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებისა და საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების შეცვლის მიზნით.



კონკრეტული ისტორიები (სახელები შეცვლილია)

● ბიორბი

გიორგი 17 წლისაა. ის ბავშვობიდან ქუჩაში მუშაობდა და სანთლების გაყიდვითა და მონყალების თხოვნით ირჩენდა თავს. გიორგის სახლში მძიმე ეკონომიკური და სოციალური პირობები ჰქონდა და ის დედის მხრიდან იყო ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი.

დღის ცენტრის თანამშრომლების დახმარებით გიორგიმ დაამთავრა 9 კლასი, რის შემდეგაც ჩააბარა პროფესიულ კოლეჯში მზარეულის კურსებზე. ცენტრის თანამშრომლებმა მას ყველა სასწავლო ნივთი შეუძინეს. მალე გიორგი შესაბამის სერტიფიკატს აიღებს და შეძლებს სამსახურის მოძიებას.

● ნიკა და ზურაბი

თავდაპირველი გაცნობისას ბავშვები მძიმე ეკონომიკურ სიდუხჭირეში ცხოვრობდნენ მშობლებთან ერთად ნაქირავებ ოთახში. მშობლები ალკოჰოლზე დამოკიდებულნი იყვნენ, ხოლო ბავშვები ჯართის შეგროვებითა და მისი გაყიდვით ირჩენდნენ თავს. მართალია, ბავშვები ირიცხებოდნენ სკოლაში, თუმცა ხშირად აცდენდნენ და არასოდეს ასრულებდნენ საშინაო დავალებებს.

სოციალური მუშაკისა და მობილური ჯგუფის აქტიური მუშაობის შედეგად, ბავშვები სარგებლობდნენ დღის ცენტრის მომსახურებით. პარალელურად მიმდინარეობდა მშობელთან მუშაობა, რათა მშობლის თანხმობით, ბავშვების კეთილდღეობისათვის მომხდარიყო მათი გრძელვადიანი ალტერნატიული ზრუნვით უზრუნველყოფა.

2014 წლის ივნისიდან ბავშვები განთავსდნენ მინდობით აღზრდაში ერთ-ერთ ქალაქში. ბავშვები კარგად ადაპტირდნენ ახალ გარემოსთან, დაიწყეს სკოლაში სწავლა, აქვთ აკადემიური წარმატებები. მიმღები მშობელი დაინტერესებულია ბავშვების განვითარებით, მუდმივად თვალყურს ადევნებს მათ საჭიროებებს და ახდენს შესაბამის რეაგირებას. ბავშვები მიმღები მშობლის ოჯახთან ერთად ხშირად დადიან დასასვენებლად. ამასთან ერთად, იწარჩუნებენ კონტაქტს ბიოლოგიურ მშობლებთან, რომლებიც ხშირად ნახულობენ შვილებს.

შედეგად, ბავშვები აღარ იმყოფებიან ქუჩაში და უკეთეს გარემოში ცხოვრობენ.





კონკრეტული ისტორიები (სახელები შეცვლილია)

● მარიამი

მარიამი 13 წლისაა და პირადი დოკუმენტაციის არქონის გამო არასდროს არ უვლია სკოლაში. მარიამის ოჯახს მძიმე სოციალური პირობების გამო არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

2014 წლის მაისში ტრანზიტულ ცენტრში გადმოყვანის შემდეგ მარიამს შესამჩნევად გაუმჯობესდა აკადემიური უნარები. ის ცენტრის აღმზრდელების დახმარებით სწავლობს წერა-კითხვას და უკვე თავისუფლად კითხულობს მცირე ზომის ტექსტებს. მარიამს ასევე შეუძლია თვლა და მცირე ტექსტების დამახსოვრება, რაც შედეგია მისი გაუმჯობესებული მეხსიერებისა.

● ალექო

15 წლის ალექო სხვადასხვა ბავშვთა სახლში იზრდებოდა. მას დამთავრებული აქვს 9 კლასი. 2014 წლიდან ალექო ტრანზიტულ ცენტრშია. ადრე მას ახასიათებდა იმპულსურობა, უჭირდა საკუთარი ქცევის კონტროლი, რის გამოც ექმნებოდა პრობლემები. ცენტრის თანამშრომელთა ძალისხმევით სიტუაცია შედარებით გაუმჯობესდა. ახლა იგი ცდილობს უფრო აკონტროლოს საკუთარი ქცევა, ემოციები და გაითვალისწინოს სხვების აზრი.

მან წარმატებით დაამთავრა კოლეჯი და მოიპოვა ინფორმაციული ტექნოლოგიების ტექნიკოსის კვალიფიკაცია. ამან სრულიად შეცვალა დამოკიდებულება საკუთარი თავისა და გარშემომყოფთა მიმართ. ალექო უფრო თავდაჯერებული გახდა და აუმაღლდა თვითშეფასება. ამჟამად იგი კრივზე დადის და მეგობრებიც დააინტერესა სპორტის ამ სახეობით.